ლექცია 10

საკლასო ოთახის გარემო

ყველას გვინდა, რომ თავი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხოდ ვიგრძნოთ და ჩვენი ცხოვრება აზრიანი იყოს. CLIL მოსწავლეები, რომლებიც თავს დაფასებულად გრძნობენ, რომლებიც გრძნობენ, რომ მათ თავისუფლად შეუძლიათ იაზროვნონ კრიტიკულად, რომლებიც მზად არიან შესასწავლი ენით ექსპერიმენტირებისათვის და გრძნობენ, რომ სწავლა უქმნის გამომწვევებს და აქვს მნიშვნელობა, დიდი ალბათობით, ყველაზე მეტს ისწავლიან. ქვემოთ აღწერილია, თუ რა დაგეხმარებათ ამის მიღწევაში.

საკლასო ოთახის ნორმებსა და წესებზე შეთანხმება

მოსწავლეები უკეთ შეძლებენ საკუთარი ქცევის მართვას, როდესაც შეიმუშავებენ და შეთანხმდებიან საკლასო ოთახის ნორმებზე, წესებზე ან ქცევის პრინციპებზე, რომლებიც მათ სწავლაში დაეხმარებათ. თქვენ შეიძლება წარადგინოთ საკლასო ოთახის ნორმების თემა რაიმე არაკომფორტული მომენტის გახსენებით, რომელიც მოსწავლეობისას გადაგხდათ თავს. ამის შემდეგ მოსწავლეები ჯგუფებში ან წყვილებში გაუზიარებენ ერთმანეთს მომენტებს, როდესაც მათ არაკომფორტულად იგრძნეს თავი საკლასო გარემოში. ამ ჯგუფური ან წყვილში მუშაობის შემდეგ შეგიძლიათ ჰკითხოთ მოსწავლეებს, არის თუ არა ვინმე მზად, მთელს კლასს გაუზიაროს ეს პირადი გამოცდილება.

პირადი გამოცდილებების გაზიარება პირველი საფეხურია ღირებული გაიდლაინების იდეების გონებრივი იერიშისათვის, რომელზეც მთელი ჯგუფი შეთანხმდება. ახალგაზრდა მოსწავლეებისათვის შესაძლოა მიმართულების მიცემა დაგჭირდეთ. ჰკითხეთ მათ, უნდა არსებობდეს თუ არა წესი ერთმანეთის მოსმენის შესახებ და ა.შ.

ხდება გონებრივი იერიშის სესიის შედეგების ანალიზი გამეორებების ამოსაშლელად და პრიორიტეტების დასაწესებლად. აირჩევა მაქსიმუმ ხუთიდან შვიდამდე წესი. შეთანხმების მიღწევის შემდეგ ფურცლზე ჩამოწერილი წესები მაგრდება კედელზე. დასაწყისში კარგი იქნება მათი რეგულარულად შეხსენება. ასევე, კარგია დროდადრო ამ წესების დაცვის პროგრესის შეფასება, რათა მოსწავლეებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ და აქცენტი სწავლაზე გააკეთონ. ეს შესაძლოა მოსწავლეთა თანამშრომლობის უნარის აღსანიშნავი შესაძლებლობა იყოს. საჭიროებისას ხდება წესების ადაპტაცია.

საშუალო და პროფესიულ პროგრამებში მოსწავლეები შეიძლება დაიღალონ სხვადასხვა გაკვეთილზე ამ წესების ხელახლა შემუშავებით. ერთი ვარიანტია სხვა მასწავლებლებთან

თანამშრომლობა. მაგალითად, მაწავლებლები შესაძლოა პირველად შეხვდნენ მათი მოლოდინებისა და საჭიროებების განსახილველად. ამის მერე ერთმა მასწავლებელმა შეიძლება იმუშაოს ყველა კოლეგასთან ერთად, ვინც ამ გაკვეთილის დროს თავისუფალია, მოსწავლეებთან ერთად წესების განსახილველად და შესაქმნელად. ეს წესები იმოქმედებს ყველა გაკვეთილზე. ყოველ მასწავლებელს შეუძლია წამოაყენოს რაიმე საკითხი, რომელიც მისი გაკვეთილისათვის სპეციფიკურია. მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნების ან ზოგიერთი პროფესიული საგნის გაკვეთილებზე საჭიროა მოსწავლეები შეთანხმდნენ, რომ არასოდეს გამოიყენებენ ქიმიურ ნივთიერებებსა და მოწყობილობებს უსაფრთხოების პროცედურების დაცვის გარეშე ან მასწავლებლის დაუსწრებლად.

ფიზიკური უსაფრთხოება

ენის არცოდნა უსაფრთხოებას არ უნდა აყენებდეს ზიანს. მაგალითად, CLIL-ს საბუნებისმეტყველო საგნებისა და პროფესიულ გაკვეთილებზე მოწყობილობებთან, ქიმიურ ნივთიერებებსა და პროცედურებთან დაკავშირებული მრავალი რისკი საჭიროებს მართვას. თუმცა უსაფრთხოების ზომებისა და მოთხოვნების ახსნა და დამუშავება შესაძლოა CLIL ენაზე, მოსწავლეებს შეიძლება სთხოვოთ მშობლიურ ენაზე წერილობითი უკუკავშირი ამ ზომებისა და მოთხოვნების შესახებ. სხვა ვარიანტია მოსწავლეების მიერ უსაფრთხოების პროცედურების ან სამუშაო პროცესის მოდელირება უსაფრთხოების პროტოკოლების გათვალისწინებით. მათ შეუძლიათ ქიმიური ნივთიერებების ნაცვლად

გაფერადებული წყალი გამოიყენონ ნივთიერებების არევაში ვარჯიშისას, ან გამოიყენონ ბლაგვი ინსტრუმენტები პროცედურის ან პროცესის გაგების დემონსტრაციისათვის. მათ შეუძლიათ CLIL ენის გამოყენება სამუშაო პროცესის ისეთი აღწერისათვის, რომელშიც ასახული იქნება უსაფრთხოების პროცედურები, სანამ მუშაობას შეუდგებიან.

რისკზე წასვლის წახალისება და დაჯილდოება

სწავლა და კომუნიკაცია ყოველთვის შეიცავს რისკის გარკვეულ ელემენტებს. CLIL სტუდენტებს დამატებით რისკებთან უწევთ შეჯახება. ლინგვისტურად ისინი ბუნდოვან სამყაროში ცხოვრობენ. მათ ყოველთვის არ იციან ყველა იმ სიტყვის მნიშვნელობა, რომლებიც ესმით ან რომლებსაც კითხულობენ. მათ ხშირად აკლიათ იმის სათქმელად საჭირო ლექსიკა და დისკურსის პატერნები, რისი თქმაც უნდათ. მათგან ელიან მნიშვნელობის მიხვედრას ან დედუქციას და კომპლექსური იდეების მარტივი ენით გადმოცემას. მათ სთხოვენ, რომ წავიდნენ რისკზე ახალი მასალის ინტერპრეტაციისას და საკუთარი აზრის გამოხატვისას. მოსწავლეები წავლენ ამ რისკებზე, თუკი ისინი დაჯილდოვდებიან მცდელობისათვის, იმის მიუხედავად, მიაღწევენ თუ არა წარმატებას. ისინი არ გარისკავენ, თუ მათ მიერ საგნობრივი შინაარსის ან ენის გამოყენების მცდელობებს აკრიტიკებენ ან დასცინიან. სწავლაში შეცდომების როლზე ღიად ლაპარაკი და იმის ანალიზი, თუ

როგორ შეუძლია შეცდომას პირადი და აკადემიური ზრდის მოტანა, ეხმარება ისეთი კულტურის შექმნას, რომელშიც შეცდომებზე სწავლა მიღებული ნორმა და საკლასო ოთახის კულტურის ნაწილი გახდება.

მაგალითით „დანაყრებაზე“ ძლიერი არაფერი არაა. როდესაც მასწავლებლები მიდიან რისკებზე ახალი მეთოდოლოგიების ან აქტივობების გამოყენებისას და როდესაც ისინი აღიარებენ გაკვეთილზე საკუთარ შეცდომებს, მოსწავლეები ხედავენ, რომ რისკზე წასვლის ეს ფორმა ცხოვრების ნორმალური ნაწილია. ეს შეეხება მასწავლებლის ხარვეზებსა და შეცდომებსაც CLIL ენის გამოყენებაში. საერთოდაც, რისკზე წასვლა და მათი მენეჯმენტი არის მენტალური ჩვევა, რომელიც ხელს უწყობს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლას.

სიჩუმე და ხმაური

მეორე ენაზე სწავლა უფრო მეტ მოთხოვნას უყენებს მოსწავლეს, ვიდრე პირველ ენაზე. იგივე ეხება სწავლებასაც. რამდენიმე წუთი სიჩუმე დაეხმარება ყველას აზრების თავის მოყრასა და საჭირო ენერგიის მოგროვებაში. ამან შეიძლება ინდივიდუალური მუშაობის სახე მიიღოს. ის შეიძლება შეიცავდეს მოკლე (მაგ. 10-წუთიან) მდუმარე პერიოდს, რომლის დროსაც ყოველი მოსწავლე და მასწავლებელი CLIL ენაზე კითხულობს მის მიერვე შერჩეულ ტექსტს.

ზომიერი ხმაურიც კი შესამჩნევად აფერხებს უცნობი სიტყვებისა და დისკურის პატერნების აღქმას. CLIL საკლასო ოთახები, იდეალურ შემთხვევაში, განთავსებულია ხმაურიანი ადგილებისაგან შორს, როგორიცაა სპორტდარბაზი ან გადატვირთული გზა. ასევე, სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს, თუ მოსწავლეებს დაეხმარებით მოსმენისა და ხმაურის დონის შეფასების უნარები გამოუმუშავდეთ. აგრეთვე, მათ უნდა შეეძლოთ ხმაურის შესამცირებლად სხვებზე გავლენის მოხდენის სტრატეგიების შემუშავება. მაგალითად, ჯგუფური სამუშაოსას შეგიძლიათ შეაწყვეტინოთ მოსწავლეებს მუშაობა და ჰკითხოთ, რამდენს მიაჩნია, რომ ხმაურის დონე დამღლელია, რამდენს უჭირს ჯგუფში ყველაფრის მოსმენა და რამდენი ფიქრობს, რომ ხმაურის დონე აფერხებს სწავლის პროცესს. ამ კითხვების დასმა ძირითადად საკმარისია ხოლმე ხმაურის დონის შესამცირებლად და საბოლოო ჯამში მოსწავლეები უფრო ხშირად იწყებენ საკუთარი ხმაურის დონის შეფასებას და თანატოლებისთვის თხოვნას, ნაკლებად იხმაურონ.

მოსწავლეებს შესაძლოა მისცეთ დუმილის უფლება. თუ ისინი ფიქრობენ, რომ დისკუსიას ვერ შემატებენ ვერაფერს, შეუძლიათ არ მიიღონ მონაწილეობა. თუ ეს უფლება წარდგენილი იქნება, როგორც პრივილეგია, რომლის გამოყენებაც მხოლოდ იშვიათად შეიძლება, მოსწავლეთა უმეტესობა მას მხოლოდ პანიკის მომენტში გამოიყენებს, ან როდესაც სხვა გამოსავალს ვერ ხედავს. თუკი ვინმემ დუმილის უფლება გამოიყენა, აქტივობის ბოლოს შეგიძლიათ ჰკითხოთ, ხომ არ სურს რაიმეს დამატება. ზოგიერთი მოსწავლე, რომელმაც დუმილის უფლება გამოიყენა, შესაძლოა მზად იყოს პასუხისათვის.

ხმაურის არსებობა გარდაუვალია. ის არაა ურჩხული, რომლის ბოლომდე გასანადგურებლადაც უნდა იბრძოლოთ. ის შესაძლოა ხელსაყრელი შემთხვევა იყოს. ის გვეუბნება, რომ მოსწავლეები დაინტერესებულები არიან მიმდინარე თემით, ან რომ ისინი დაბნეულები არიან, ან რომ მათ ინტერესი დაკარგეს. შეგიძლიათ სთხოვოთ მათ, გააანალიზონ ხმაურის დონის ზრდის მიზეზი და პასუხის მიხედვით დაარეგულიროთ გაკვეთილის მიმდინარეობა. მოძრაობისა და ხმაურის შესაძლებლობების შექმნით უფროსი მოსწავლეებიც შეძლებენ დახარჯონ ზედმეტი ენერგია, შეიძინონ ახალი ენერგია და გადავიდნენ სწავლის ნაკლებად ხმაურიან რეჟიმზე.

კონსისტენტურობა და სამართლიანობა

კონსისტენტურობა ნდობის დამყარებისთვის მნიშვნელოვანი ელემენტია. ნდობის არარსებობა აზიანებს სასწავლო კლიმატს, რომელიც უმნიშვნელოვანესია CLIL-თვის. ნდობის მოპოვება ნელი პროცესია, მისი დაკარგვა კი სწრაფად შეიძლება. უფრო მეტიც, ერთხელ დაკარგული ნდობის თავიდან მოპოვება განსაკუთრებით რთულია. მოსწავლეებს უნდათ იმის ცოდნა, რომ გარკვეულ სიტუაციებზე მასწავლებელს გარკვეული რეაქციები ექნება.

წინასწარ მიღებული ნორმები დაკარგავს ძალას, თუკი მასწავლებლის ქცევა არაა კონსისტენტური ამ შეთანხმებებთან. ხელის შემშლელი მოსწავლეების ქცევა ყოველთვის ერთნაირ პასუხს უნდა იწვევდეს. მოსწავლეებისათვის კონსისტენტური შედეგები სამართლიანი იქნება. მოსწავლეების საქციელზე ძლიერი ემოციური რეაქცია არაა რეკომენდებული, რადგან ის გაურკვევლობისა და შიშის ატმოსფეროს ქმნის. მოსწავლეებს არ ეცოდინებათ, რას უნდა მოელოდნენ.

რუტინების გამოყენება, რათა მოსწავლეებმა შეძლონ იმის წინასწარმეტყველება, რაც უნდა მოხდეს, CLIL-ის ერთ-ერთი ატრიბუტია. მცირეწლოვანი ბავშვებისათვის ყოველდღიური პატერნების შექმნა და მათი კონსისტენტურად მიყოლა ეხმარება მოსწავლეებს სწავლაზე კონცენტრაციაში, რადგან მათ იციან, რა მოდის შემდეგ. უფროს მოსწავლეებთან იმის ცოდნა, თუ როდის იქნება „მოთელვა“, მიზნების დასახვა, მთავარი აქტივობებისა და პროგრესიის შეფასების დრო, ასევე, ქმნის ჩვეულებრივი გაკვეთილის პატერნს. ეს მოსწავლეებს უქმნის გარემოზე კონტროლის შეგრძნებას, რისი წყალობითაც ისინი ნაკლებად დაძაბულები არიან.

საკლასო ოთახის მენეჯმენტში კონსისტენტურობა უფრო ეფექტურია, როდესაც ის ეთანახმება სკოლის კულტურასა და პოლიტიკას. ეფექტურ სკოლებში პერსონალი რეგულარულად იკრიბება კლასების მენეჯმენტის საუკეთესო გზების განსახილველად. ისინი გამოიმუშავებენ ერთიან სტრატეგიებს ხელის შემშლელ ქცევებთან გასამკლავებლად და ეხმარებიან მოსწავლეებს წარმატების მიღწევაში. მასწავლებლები ერთად წყვეტენ და იღებენ პოლიტიკისა და სტრატეგიების საკითხებს.

უცნობის ასოცირება რაიმე სასიამოვნოსთან

სრულიად ბუნებრივია სიახლისათვის შიშით თუ არა, ეჭვის თვალით შეხედვა. რაკი CLIL მოსწავლეები მეორე ენაზე სწავლობენ, მათ უწევთ გაცილებით მეტ სიახლესთან შეხება. ახალის სწავლის არსებულ ცოდნასთან, რაიმე საინტერესოსა და გამომწვევასთან ასოცირების საშუალებების აქტიური ძებნა, რომლის დროსაც უსაფრთხოების შეგრძნება იარსებებს, შეამცირებს სიახლისათვის წინააღმდეგობის გაწევაზე დახარჯულ დროს და ხელს შეუწყობს მოსწავლის წარმატებას.

მაგალითისთვის, მოსწავლეებმა შესაძლოა ახალი თემა დაიწყონ ისტორიის გაკვეთილზე ისტორიულ მოვლენაზე, ან საბუნებისმეტყველო საგნის გაკვეთილზე პლანეტათაშორის მოგზაურობაზე სამაგიდო თამაშის შექმნით. დასაწყისისში ამ თემის შესახებ ინფორმაცია მოსწავლეებს კარგად შეფუთულ ნაწილებად მიეწოდებათ, ფაქტები კი დისტილირებული ფორმით. მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში ამ მასალის შესასწავლად, რომ სამაგიდო თამაშის შექმნისას გამოიყენონ.

ამისთვის საჭიროა ამ მასალის კარგად დამუშავება და შესაბამისი ენისა და საგნობრივი შინაარსის გაგება. როგორც წესი, არსებობს შეჯიბრების ელემენტი, ან, სხვა თუ არაფერი, გამოგონილი სამაგიდო თამაშით სხვა ჯგუფებზე შთაბეჭდილების მოხდენის სურვილი.

თამაშების პრეზენტაციით, ან ჯგუფების მიერ სხვა ჯგუფების მოგონილი თამაშების თამაშით, ხდება თემის მიმოხილვა. ამ დროისათვის მოსწავლეები იძენენ საკმაო ცოდნას თემასთან დაკავშირებით და, აგრეთვე, ენობრივ ცოდნასაც. ისინი გამოიყენებენ ამ ინფორმაციას და ექნებათ მყარი საფუძველი, საიდანაც შესაძლო იქნება ამ თემის განვრცობა.

დღეს მსოფლიოს უდიდეს ნაწილში მოსწავლეთა უმრავლესობა კარგად იცნობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. მათემატიკის გაკვეთილზე მოსწავლეებს შეიძლება მოთელვისათვის შევთავაზოთ თემასთან დაკავშირებული მათემატიკური თამაშები, რომელთა პოვნაც უფასოდ შეიძლება ინტერნეტში.

გაკვეთილზე ახალი ტერმინების სწავლების ნაცვლად, მცირეწლოვანმა მოსწავლეებმა შესაძლოა გაკვეთილის დასაწყისში მოძებნონ მათი მნიშვნელობა. ამისთვის მათ შეუძლიათ, მაგალითისთვის, Jenny Eather's A Maths Dictionary for Kids გამოიყენონ, რომლის ნახვაც ინტერნეტშია შესაძლებელი (http://www.amathsdictionaryforkids.com). The Visual Geometry Dictionary for Kids and for Kids' Teachers, შექმნილი ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ, ასევე ადვილი მოსაძებნია ინტერნეტში (http://www.math.okstate.edu/~rpsc/dict/ Dictionary.html/). მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ ის გაკვეთილის დასაწყისში რამდენიმე საკვანძო ტერმინის მოსაძებნად. ლექსიკონში მოცემულია მოსწავლეების მიერ შედგენილი წერილობითი ან ვიზუალური განმარტებები ისეთი ტერმინებისა, როგორიცაა, მაგალითად, ბლაგვკუთხა სამკუთხედი. ლექსიკონი განმარტავს და ილუსტრაციას უკეთებს არა მხოლოდ იმას, თუ რა არის ბლაგვკუთხა სამკუთხედი, არამედ იმასაც, თუ რა არ არის იგი.

რა გზითაც არ უნდა წარადგინოთ ახალი მასალა, მოსწავლეებს უნდათ იმის ცოდნა, რომ შეძლებენ გაუმკლავდნენ მას. ამისათვის მასწავლებლებმა თავი უნდა აარიდონ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა სწორი და არასწორი, ამოხსნამდე მისვლის პროცესზე ფოკუსირებით და მოსწავლის აზროვნების განვრცობით. მათემატიკაში ეს შეიძლება ასე გაკეთდეს: მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფს ეძლევა სხვადასხვა ამოცანა. პირველ რიგში, თითოეულმა ჯგუფმა უნდა მოამზადოს განმარტება სხვა ჯგუფისათვის, თუ როგორ ამოხსნიდნენ ისინი ამ ამოცანას. ამის შემდეგ ჯგუფები შეასრულებენ აღწერილ პროცესს. ხდება განმარტებების შეცვლა, სანამ ყველა ჯგუფი არ გაიგებს პროცესებს და წარმატებით არ ამოხსნის ამოცანებს.

დადებითი დაძაბულობის შესანარჩუნებელი რიტმი

აქტივობას აზრი არ აქვს, თუკი ჩართულობის დონე მხოლოდ ზედაპირულია, ხოლო ლაპარაკს აზრი არ აქვს, თუკი რეალურად არავინ გისმენთ. ჩართულობისათვის საჭიროა გარკვეული დონე იმისა, რასაც ჟან პიაჟე კოგნიტურ კონფლიქტს უწოდებს. რიტმი უნდა იყოს საკმარისი გამოწვევის შემქმნელი, რომ მოსწავლეებს ძალისხმევის დახარჯვა მოუწიოთ და საკმარისად ზომიერი, რათა ისინი არ დაიბნენ. ნებისმიერი მოსწავლის ან ჯგუფის ყურადღების კონცენტრაციის ხანგრძლივობა დღიდან დღემდე ძლიერ განსხვავებული შეიძლება იყოს.

CLIL მასწავლებელთა უმეტესობა ინტუიციურად ამყარებს სწორ რიტმს. თუმცა, მაინც კარგი იქნება მოსწავლეთა გაგებისა და დამოკიდებულებების აქტიური მონიტორინგი. მაგალითად, შესაძლოა სთხოვოთ მოსწავლეებს, ინდივიდუალურად დაწერონ მიმდინარე პუნქტის შემაჯამებელი წინადადებები. მათი შესწორება თვალის გადავლებითაა შესაძლებელი, რადგან მათი მიზანი, უბრალოდ, იმის ნახვაა, რამდენად კარგად ესმის მოსწავლეს მოცემული პუნქტი და რამდენად კარგად გადმოსცემს იგი მას. შესაძლოა ერთი-ორი ამგვარი წინადადების კლასთან ერთად განხილვა. გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ მომდევნო სწრაფი გამოკითხვის ჩატარებაც: ანონიმურად ამოარჩევინეთ მოსწავლეებს მოცემული შეფასებებიდან ერთ-ერთი იმის აღსაწერად, თუ რას გრძნობენ მიმდინარე თემის მიმართ (თავგზა ამებნა; პრობლემა არ შემქმნია; დახმარებას ვეძებ).

ეს ნიშნავს, რომ დაგეგმილი აქტივობები უკანა პლანზე გადადის და ადგილს უთმობს დაგეგმილ შედეგებსა და მოსწავლეთა საჭიროებებს.

თითოეული მოსწავლის დაფასება

ფსიქოლოგიის თანახმად, ზოგადად, მოგვწონს ის ადამიანები, რომელთაც ჩვენ მოვწონვართ. ყველა მოსწავლე თავს მნიშვნელოვნად, მოწონებულად და დაფასებულად უნდა გრძნობდეს. ამის ყველაზე ძლიერი საშუალებები დანახვა და მოსმენაა. ამაში შედის პირადად მისალმება, თვალებით კონტაქტი, ღიმილი და მოსწავლის ნათქვამზე დამატებითი კითხვების დასმა. განსაკუთრებით

მცირეწლოვან მოსწავლეებს მასწავლებლის დახმარების შანსი განუმტკიცებს მიკუთვნების შეგრძნებას და საშუალებას აძლევს მათ, დაიმსახურონ აღიარება თავიანთი შენატანისათვის. უფრო მეტიც, მოსწავლეები ამგვარად დაეხმარებიან მასწავლებელს ტვირთის შემცირებაში.

მოსწავლეები ეხმარებიან და ამდიდრებენ ერთმანეთს

მასწავლებელი მხოლოდ ერთი ადამიანია მრავალი ადამიანისაგან შემდგარ კლასში. ხშირად რთულია, შენიშნო ან/და დააკმაყოფილო ყოველი მოსწავლის საჭიროება მათი შექმნისთანავე. მოსწავლეების წახალისება, რომ ერთმანეთს დაეხმარონ და გაუზიარონ ცოდნა, ამცირებს წნეხს მოსწავლესა და მასწავლებელზე. მას მოაქვს ახალი პერსპექტივები და უადვილებს მოსწავლეებს დავალების შესრულებას. ის, ასევე, ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებლობას და ერთმანეთის დახმარებას. მას წვლილი შეაქვს კოოპერაციული და მხარდამჭერი საკლასო კულტურის შექმნაში, რაც CLIL-თვის ძალიან მნიშვნელოვანია.

პირველ ნაბიჯი: შეგიძლიათ უხელმძღვანელოთ მოსწავლეებს ერთმანეთის ძლიერი და სუსტი მხარეების გაგებაში, ერთმანეთის უკეთ გაცნობაში. ეს ემპათიის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

მოსწავლეების მიერ სხვა მოსწავლეების დახმარების აღნიშვნა წაახალისებს ამგვარ დადებით ქცევას. მაგალითისთვის, გაკვეთილის ბოლოს დასკვნების გაკეთებისას შეგიძლიათ იკითხოთ, თუ ვინ მიიღო დახმარება გაკვეთილის მიმდინარეობისას სხვა მოსწავლისაგან.

მოსწავლეებმა შეიძლება აღწერონ მიღებული სარგებელი. რაც მთავარია, თქვენ უსმენთ და უწევთ მხარდაჭერას ინტერესის გამოჩენითა და დამატებითი კითხვების დასმით, ნაცვლად უბრალოდ „ყოჩაღ, კარგიას“ თქმისა. საკლასო ოთახის მენეჯმენტის პერსპექტივიდან, მოსწავლეების მიერ ერთმანეთის მენტორობისათვის საჭიროა, უფლება მისცეთ მათ, სწრაფად და შედარებით ჩუმად ისაუბრონ ერთმანეთში, მაშინაც კი, როდესაც ვინმე სხვა ლაპარაკობს. სხეულის ენა (ხითხითი, სერიოზული სახე, სასწავლო მასალაზე მითითება) ხშირად განიშნებთ, ამოცანაზე მუშაობენ ისინი თუ სჭირდებათ შეხსენება, რომ განაგრძონ მუშაობა.

მოსწავლის ნამუშევრის წარმოჩენა/წარმატების შემჩნევა და აღნიშვნა

უპირველეს ყოვლისა, მოსწავლის ნამუშევრის წარმოჩენა არის მოსწავლისა და სწავლის პროცესში მისი შეტანილი წვლილის დაფასება. მოსწავლეები ძალიან ამაყობენ, როდესაც მათი ნამუშევარი გამოიფინება. იმის შესახებ დისკუსია, თუ რა, სად და რამდენი ხნით უნდა გამოიფინოს, დაეხმარება მოსწავლეებს იმის გარკვევაში, რის მიღწევას ემსახურება მათი ნამუშევარი. მოსწავლეები უფრო დიდი ალბათობით ჩართავენ უკუკავშირს თავიანთ ნამუშევარში, თუკი ეცოდინებათ, რომ სხვები ნახავენ მას. ზოგადად, ეს ყველაფერი საბოლოო პროდუქტის ხარისხში ჩადებული უფრო დიდი ინვესტიციაა.

როდესაც მოსწავლეები დაასრულებენ დიდ პროექტს, შესაძლოა გაკვეთილზე სტუმრების მოწვევა პრეზენტაციების სანახავად. საჭიროა ნიშანსვეტების განსაზღვრა და მონიშვნა. სემესტრის ნახევრის გასვლა, ტესტის ყველას მიერ ჩაბარება ან ქულის გამოსწორება და სხვა მოლაპარაკეებთან წარმატებული შეხვედრა - ეს ყველაფერი აღსანიშნავი მოვლენებია.

კლასის მიერ აკადემიური მიღწევების აღნიშვნა ამაღლებს განცდას, რომ ეკუთვნი ამ ჯგუფს/კლასს, სწავლისადმი დადებით დამოკიდებულებას და აჩვენებს, რომ მასწავლებელი აფასებს მოსწავლეების მიერ მრავალი სამუშაოს შესრულებაში დახარჯულ დროსა და ძალისხმევას.

მოსწავლეების უფლებებისა და მოვალეობის გაფართოება

როდესაც მოსწავლეებს სწავლისა და სწავლების პროცესში ხმის უფლება ეძლევათ, ისინი უფრო დიდი ალბათობით აიღებენ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლის პროცესზე. ზედა პუნქტებში შემოთავაზებული მრავალი სტრატეგია აღწერს, თუ როგორაა შესაძლებელი მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების გაფართოება. სხვა მარტივ ნაბიჯებში შედის მოსწავლეებისთვის აქტივობების თანმიმდევრობის არჩევის საშუალების მიცემა, ან თვით აქტივობის ამორჩევა. მაგალითად, შესაძლოა საკლასო ოთახში შექმნათ დამოუკიდებელი სასწავლო ცენტრები კითხვისთვის, მოსმენისთვის, ხელოვნებისთვის, მათემატიკისთვის და ა.შ.

მოსწავლეები აირჩევენ სასწავლო ცენტრს, რომელიც მათ აინტერესებთ. ყოველ ცენტრში მათ მოუწევთ 8 შესაძლო დამოუკიდებელი დავალებიდან ხუთის შესრულება.

შესაძლოა მოსწავლეების წახალისებაც, რომ მათ ლიდერის ფუნქცია შეასრულონ. მაგალითად, ჯგუფური მუშაობისას ლიდერის როლი შესაძლოა იყოს მონაცვლეობითი. ყოველი ჯგუფის შიგნით ამ პასუხისმგებლობის მონაცვლეობით ისინი უფრო მეტად დაუჭერენ ერთმანეთს მხარს, რადგან იციან, რომ მალე მათი ჯერი მოვა.

უფროს მოსწავლეებს შეგიძლიათ სთხოვოთ ცხრილი ხუთი პუნქტით, რის გაკეთებითაც მასწავლებლები კლასში სწავლის პროცესს გააუმჯობესებდნენ. მოსწავლეებს შეიძლება მიეცეთ ხმა მთელი გაკვეთილის ან პროგრამის შეფასებაში და შესაძლოა ჰკითხოთ, რა შემოთავაზებები აქვთ სასწავლო პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასის მოწყობა

CLIL-ში უპირატესობა ენიჭება ადგილების სწორად განაწილებას. მერხები განაწილებულია წრის ან V-ს ფორმის ოთხ ან ხუთ მერხიან ჯგუფებად. ძველმოდური სტილი მერხების რიგებით და წინ მასწავლებლის მაგიდით მხოლოდ გამოცდებზეა რეკომენდებული, ან მაშინ, როდესაც მოსწავლე მარტო მუშაობს პროექტზე. რიგები ქმნის დამალვის საშუალებას, შესაძლოა გამოიწვიოს დისკომფორტი მოსწავლეებში, რადგან ვიღაცა უკან უზით. რიგები ხელს უშლის კომუნიკაციასა და დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბებას.

იატაკის სქემის დახაზვა დაგეხმარებათ ხელმისაწვდომი ფართობის მიხედვით დაგეგმვაში. მოსწავლეებმაც შეიძლება დახაზონ იატაკის სქემები, რომელთა ანალიზიც მოხდება იმ კუთხით, თუ რამდენად უწყობს ხელს სწავლას. უმცროს მოსწავლეებთან, სადაც საკლასო ოთახი შესაძლოა უფრო დიდი იყოს, კარგი იქნება ადგილების გამოყოფა ჩუმი, ინდივიდუალური სამუშაოსათვის, სასწავლო ცენტრებისა და ჯგუფური მუშაობისათვის.

საკლასო ოთახის პერსონალიზაციის ყოველი მცდელობა დაეხმარება სწავლისათვის სასარგებლო ატმოსფეროს შექმნას. უფროს მოსწავლეებთან გაკვეთილზე გადაღებული და ჩვეულებრივ პრინტერზე ამობეჭდილი სურათების დაკიდება გამოაცოცხლებს საკლასო ოთახს და გააძლიერებს ჯგუფის ერთიანობის შეგრძნებას. შესაძლოა სთხოვოთ მოსწავლეებს, დაწერონ სათაურები, რომელთაც შემდეგ სურათებზე მიაწებებთ. ლექსიკის კედელი ან გრაფიკული ორგანაიზერი, რომელიც მოსწავლეებს ახალი მასალის გაგებაში ეხმარება, ასევე უწყობს ხელს სწავლის პროცესს.

შესანახი ადგილი მნიშვნელოვანია. მასალები, რომელზე წვდომაც მოსწავლეებს სჭირდებათ, უნდა ინახებოდეს განსხვავებულ ადგილებზე, რათა თავი აარიდოთ საცობებს. CLIL ენაზე ეტიკეტების გაკეთება დაეხმარება მოსწავლეებს ყველაფრის თავის ადგილას დაბრუნებაში და განამტკიცებს ენის ცოდნას. მოსწავლეები შესაძლოა დაიხმაროთ ეტიკეტების გაკეთებაში და სემესტრში ერთხელ შეგიძლიათ ჰკითხოთ მათ, თუ როგორ შეიძლება შენახვის პირობების გაუმჯობესება.

სწავლაზე ფოკუსის შენარჩუნება

წარმატებული CLIL პროგრამები უზრუნველყოფენ, რომ საგნობრივი შინაარსების სწავლის სტანდარტი შენარჩუნებული/დაცულია. CLIL მოსწავლეები და მათი მშობლები ენის სწავლას დამატებით ღირებულებად მიიჩნევენ. როგორც წესი, ისინი არ არიან მზად საგნების შინაარსებზე კომპრომისზე წასასვლელად.

შემსწავლელთა ცხოვრებასთან კავშირი

შემსწავლელთა ცხოვრებასთან კავშირი წინაპირობად იღებს, რომ შევქმნით უსაფრთხო და გამამდიდრებელ სასწავლო გარემოს, რომელშიც მოსწავლეები იძენენ ახალ ცოდნას საკუთარი თავისა და სამყაროს შესახებ, რომელშიც ცხოვრობენ. სხვებთან კომუნიკაციით მოსწავლეები თანხმდებიან და ქმნიან მნიშვნელობებს და წყვეტენ ნასწავლის რელევანტურობას. თუ ჩვენ მოსწავლეებს ახალი შესწავლილის გამოყენებით აზრის მქონე შედეგს მივაღებინებთ, ისინი, დიდი ალბათობით, ამ ნასწავლს რელევანტურად მიიჩნევენ. და ის, რაც რელევანტურად მიიჩნევა, უფრო დიდი ალბათობით დარჩება გრძელვადიან მეხსიერებაში მომავალში გამოსაყენებლად.

კავშირი (საკუთარ თავთან, საკუთარ თემთან/საზოგადოებასა და მსოფლიოსთან) ქმნის რელევანტურობის შეგრძნებას. ეს ნიშნავს:

- პირველ რიგში, ახალი ნასწავლის ინდივიდთან დაკავშირებას მისი არსებული ცოდნისა და გამოცდილების ბაზისა და ინტერესების გამოკვლევით და მისი თვითანალიზის უნარის განვითარებით;
- მეორე, ინდივიდუალური მოსწავლეების დაკავშირებას მათ გარშემო არსებულ საზოგადოებასთან - სხვებთან მუშაობის გამოცდილებითა და მოსწავლეთა საზოგადოებასა და საზოგადოების მოსწავლეზე ზემოქმედების გამოკვლევით;
- და მესამე, მოსწავლეთა დაკავშირებით, ზოგადად, მსოფლიოსთან. ამისთვის მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ, თუ როგორაა მიბმული ლოკალურ დონეზე ქმედება გლობალურ პროცესებთან, გლობალური პროცესები კი - ლოკალურ საზოგადოებასთან და საერთაშორისო პერსპექტივების სარგებლების გამოცდილებით.

ეს კავშირები ამყარებს ბმას სწავლასა და ინდივიდს შორის, საზოგადოებასა და მსოფლიოს შორის. როდესაც მოსწავლეები დაიჯერებენ, რომ ახალი ნასწავლის გამოყენება შესაძლებელია პირად დონეზე რეალურ სამყაროში, ის მათთვის რელევანტური ხდება. ინფორმაციის ამგვარად დაფუძნებას მოაქვს სწავლის პროცესის გაუმჯობესება და თავიდან აგარიდებთ მოსწავლეთა მიერ მისი, როგორც რაიმე ზედმეტის, ფილტრაციას.

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება

მოსწავლის უკეთ გაცნობის პირველი ნაბიჯი შესაძლოა იყოს გამოკითხვის ჩატარება მათი ინტერესების შესახებ. ამის შესახებ მათი გამოკითხვა შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ იმის კითხვით, თუ რას უყურებენ ტელევიზორში, რომელია მათი საყვარლი ვიდეო YouTube-ზე, რომელი სპორტი უყვართ ან როგორ ატარებენ შაბათ-კვირას. შესაძლოა ჰკითხოთ, თუ რა ტექნოლოგიებს იყენებენ, რომელ ვებგვერდებს სტუმრობენ, რომელი წიგნი ან ჟურნალის სტატია წაიკითხეს, რას ეძებენ ისინი მეგობარში, როგორი ადამიანები არ მოსწონთ, ჩათრუმები, რომლებზეც ისინი შედიან, რაზე ლაპარაკობენ ისინი ამ ჩათრუმებში და რომელია მათი საყვარელი აპლიკაცია Facebook-ზე.

მეორე ვარიანტია - უთხრათ მოსწავლეებს, რომ შემდეგ დღეს მათი ინტერესების შესახებ დაუსვამთ კითხვებს. სთხოვეთ, რომ მოიტანონ სკოლაში თავიანთი ჰობისა და გართობის საილუსტრაციო მასალები, რომელთაც ისინი მთელ კლასს გაუზიარებენ. წაახალისეთ ისინი, რომ დაუსვან ერთმანეთს შეკითხვები ჰობის შესახებ. ამის სახესხვაობაა ყოველ კვირას ხუთი მოსწავლისათვის დავალების მიცემა, შექმნან დისპლეი საკუთარი ინტერესების შესახებ. სხვა მოსწავლეები კითხვებს დასვამენ ამ დისპლეების შესახებ.

რაკი მოსწავლეებს ხშირად აინტერესებთ საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიები, მათი სწავლის პროცესში ინტეგრირებით ჩვენ ვითვალისწინებთ მოსწავლეთა ინტერესებს. მაგალითად, მოსწავლეებმა შეიძლება CLIL ენაზე დაწერონ მესიჯები, იმეილი, ვინმეს ონლაინპროფილის ანალიზი, ან შექმნან საკუთარი ონლაინპროფილი. საშუალო სკოლის ისტორიის

გაკვეთილზე მათ შეიძლება შექმნან რომელიმე ცნობილი ისტორიული პირის ონლაინპროფილი. ეს პროფილი შესაძლოა შეიცავდეს ამ პიროვნების მიღწევებს, მოკავშირეებსა და მტრებს, იმედგაცრუებებს, ნასწავლ გაკვეთილებსა და მომავლის გეგმებს. დავალების განვრცობა შეიძლება ამ პიროვნების მთავარი მტრის პროფილის შექმნით.

გეოგრაფიაში მოსწავლეებმა შეიძლება წარმოიდგინონ, რომ მათ აქვთ 20 000 ევროიანი ბიუჯეტი ერთწლიანი საოცნებო მოგზაურობისათვის. შეგიძლიათ სთხოვოთ მათ, გააანალიზონ მგზავრობის ხარჯები - ტრანსპორტი, დაბინავება და საკვები. მათ შეიძლება, ასევე, აღწერონ ადგილები და ღირსშესანიშნაობები, რომელთაც მოინახულებდნენ, საფრთხეები, მიწის ზედაპირი, ტოპოგრაფიულად საინტერესო ადგილები, ამინდი და ტრანსპორტის საშუალებები. მოსწავლეებს შეუძლიათ კვლევიდან ამორჩეული განსაკუთრებული პუნქტები განათავსონ სქემაზე ან ცხრილში, რათა წარმოაჩინონ სხვადასხვა ადგილს შორის მსგავსება და განსხვავება.

გეოგრაფიის ეს დავალება შესაძლოა დაუკავშიროთ მეცნიერებას - მოგზაურის ნახშირბადის ნაკვალევის გაზომვით. მათემატიკასთან დაკავშირება შეიძლება ბიუჯეტის შემუშავებითა და რიცხვების სხვადასხვა გზით წარმოდგენის ჩვენებით - დღიური ხარჯი, თვიური ხარჯი და ისეთი ხარჯები, როგორებიცაა ტრანსპორტის, საკვების ან სხვადასხვა. ეს შეიძლება განივრცოს სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში ცხოვრების ხარჯების ურთიერთშედარებით.

დაწყებით სკოლებში მოსწავლეებმა შესაძლოა გამოჰკითხონ ერთმანეთს საყვარელი საჭმლის, ინტერესების, საყვარელი მომღერლებისა და ბენდების, ჩვევებისა და იმის გამოსარკვევად, თუ რა თვისებებს ეძებენ მეგობრებში. მოსწავლეებმა შესაძლოა დახაზონ საკუთარი საძინებლის მოდელი და დაგეგმონ, როგორ გამოიყენებდნენ ისინი 1000-ევროიან ბიუჯეტს მის გასარემონტებლად. შეიძლება ჩამოთვალონ ოთახის შემდეგი ფუნქციები: მეცადინეობა, ძილი და მეგობრების მიღება. შესაძლოა საოცნებო დიზაინის შექმნა. მინიმუმ სამი განსხვავებული მწარმოებლის შემოთავაზებული ავეჯის ფასი და ხარისხი უნდა შეადარონ ცხრილით. საბოლოო დიზაინი იხაზება და გეგმის წერილობითი აღწერა ბარდება მასწავლებელს. დამატების სახით მოსწავლეებს შეუძლიათ თავიანთი პირადი საცხოვრებელი სივრცის შედარება სხვა ქვეყნის მოსწავლეების ოთახებთან, მაგალითად, ინტერნეტფორუმების გამოყენებით. მოსწავლეებს, ასევე, შეუძლიათ სკალა შექმნან ნამუშევრის შემოქმედებითობის, სიცხადისა და სიზუსტის შესაფასებლად.

პროფესიულ სასწავლებელში ტურიზმის, რესტორნის ან კლიენტზე ორიენტირებული სხვა პროგრამების სტუდენტებმა შესაძლოა დაიწყონ სწავლა იმის ანალიზით, თუ როგორ იღებენ მათი მშობლები სახლში განსაკუთრებულ სტუმრებს. მათ შეიძლება პასუხი გასცენ ისეთ კითხვებს, როგორებიცაა: როგორ მიიყვანთ სტუმრებს დანიშნულების ადგილზე? რა გეცმევათ? წინასწარ როგორ მოამზადებთ სახლს? როგორ გააღებთ კარს? რას იტყვით კართან? სხეულის როგორ ენას გამოიყენებთ? ძირითადად როგორი ტიპის საჭმელსა და სასმელს სთავაზობთ? როგორ ამზადებთ და რა ფორმით მიაწოდებთ მათ? რა პირობებში გიგრძვნიათ თქვენ ან თქვენს სტუმრებს თავი

არაკომფორტულად? როგორ ემშვიდობებით? სტუდენტებმა, ასევე, შეიძლება გაიხსენონ, თუ როგორ გაუმასპინძლდნენ მათ სხვადასხვა სიტუაციაში და როგორ გრძნობდნენ ისინი თავს.

პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებმა შიძლება CLIL ენაზე მოიგონონ ახალი საკონდიტრო ნაწარმის რეცეპტი, მოამზადონ CV უცხოეთში სამუშაოდ ან მოიძიონ სამუშაო ადგილები. მათთვის საინტერესო სამუშაო ადგილის იდენტიფიცირების შემდეგ სტუდენტებს შეუძლიათ ამ ადგილის მოპოვების სტრატეგიის შემუშავება. ეს სტრატეგია შესაძლოა შეიცავდეს ამ ადგილისათვის იმ კრიტერიუმების გამორკვევას, რომელთაც დამსაქმებელი იყენებს კანდიდატის ასარჩევად; CV-ს გადაკეთება კონკრეტული სამუშაო ადგილისათვის; წარმატებული და წარუმატებელი სამუშაო ადგილების გამოკვლევა; პრეზენტაციის მომზადება, ინტერვიუსათვის როლური თამაშით მომზადება და სამუშაო ადგილისათვის ლობირება.

სტუდენტებს, ასევე, საკუთარი ბიზნესის „დაწყებაც“ შეუძლიათ. რესტორნის ან ავტომანქანის მექანიკოსის შემთხვევაში ისინი აღწერენ მომხმარებელთა მომსახურებას, რომელთა შეთავაზებასაც ისინი აპირებენ; პერსონალის დაქირავების გეგმას; პერსონალის ტრენინგის პროგრამას; ბიუჯეტისა და სამართლებრივ საჭიროებებს, მათ შორის ლიცენზიასა და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რეგულაციებს. ამ მასალის სწავლების ნაცვლად თქვენ მიგყავთ სტუდენტები წყაროებამდე.

გამოკვლევები დაეხმარება მოსწავლეებს დამოუკიდებლად სწავლაში. მოგვიანებით, მასწავლებლები დაეხმარებიან მათ იმ აუცილებელი ნაწილების სწავლებით, რომლებიც კურიკულუმით გაწერილი შედეგებისთვის არის საჭირო.

მოსწავლეთათვის საუბრის წარმართვის საშუალებების მიცემა

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას გავლენა მარტო საგნობრივი შინაარსის სწავლებაზე არ აქვს; ის გავლენას ენის სწავლაზეც ახდენს.

CLIL-ში ენა მიმართულია კურიკულუმის მოთხოვნებისა და მოსწავლეთა ინტერესებისაკენ. CLIL-ისათვის დამახასიათებელია, რომ ენობრივი საჭიროებების განსაზღვრისათვის ყოველდღე რამდენიმე წუთი კომუნიკაციაში წამყვანი როლი მოსწავლეებს ეძლევათ, რაც სტანდარტული საკლასო ოთახის პრაქტიკისაგან განსხვავდება. სწორედ იმაზე ლაპარაკით, რაც მათთვის მნიშვნელოვანია, მოსწავლეები წარმოაჩენენ, ყველაზე მეტად რისი სწავლა სურთ ენის გაკვეთილზე. ჩვენ, ყველას, გვიყვარს იმაზე ლაპარაკი, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. როდესაც მოსწავლეებს გაუჭირდებათ აზრის ჩამოყალიბება და სათქმელის გადმოცემა, მიხვდებით, თუ რა ლექსიკა და დისკურსის პატერნები აკლია მათს რეპერტუარს. როდესაც მასწავლებლები მყისიერად აწოდებენ მოსწავლეებს ამ „სამშენებლო აგურებს“, ჩვენი გამოცდილება გვეუბნება, რომ მოსწავლე ამ ლექსიკასა და დისკურსის პატერნებს გასაოცარი სიმარტივით იმახსოვრებს.

მოსწავლეებისაგან სიგნალების დაფიქსირება

როგორც მას სჩვეოდა, მერიმ ჰკითხა თავის ათი წლის მოსწავლეებს ესტონეთში, თუ როგორ გრძნობდნენ ისინი თავს. აი, რა დიალოგი გაიმართა CLIL ენაზე:

ირენი: არც ისე კარგად.

მერი: რატომ?

ირენი: ნუ, ვიღაცამ, იგორმა, უფრო სწორად ვიღაცამ, ნუ, იგორმა

მესროლა.

იგორი: პატარა ბავშვი ხარ, რა!

მერი: რა მოხდა?

იგორმა თურმე თავისი საჰაერო თოფი ირენის მიმართულებით გაიშვირა და მას გამხმარი მუხუდოს მარცვალი მოარტყა. ცოცხალი დისკუსიის შემდეგ კლასმა აბსოლუტური უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ თოფი არაა უსაფრთხო სათამაშო. თუმცა, იგორი არ იყოს მზად მიეღო თანაკლასელების აზრი.

იგორი: დედაჩემმა მიყიდა ეს თოფი. რა, სულელს ეძახი?

გაკვეთილის დიდი ნაწილი დაიხარჯა სათამაშო თოფების, უსაფრთხოებისა და დროის ერთ მომენტში ერთ საკითხზე კონცენტრირების თემებზე. საბოლოოდ, იგორმა ბოდიში მოიხადა. კლასმა მიულოცა მას, რომ ის უკვე დიდი ბიჭია და საკუთარი შეცდომა აღიარა. ირენმა ბოდიში მიიღო.

ეს არის მაგალითი, რომელშიც მოსწავლეები სწავლობენ სწორსა და არასწორს, შედეგებს, პასუხისმგებლობას და იმას, თუ როგორ უნდა შეაჩეროთ ის, ვინც ნამდვილ პრობლემას გარშემო უვლის. მათ CLIL ენაზე ენთუზიაზმით განიხილეს საკითხი, რომელიც მათთვის მნიშვნელოვანი იყო და შეიძინეს დიდი რაოდენობით ახალი ლექსიკა. ეს მოსწავლეები აშკარად დაკავშირებული იყვნენ ამ თემასთან და მზად იყვნენ მის შესახებ მოლაპარაკებების წარმოებისა და მნიშვნელოვანი დასკვნის მიღებისათვის.

უფრო მეტიც, ეს არის ურთიერთობების დამყარების, ურთიერთპატივისცემის დემონსტრაციის საშუალება. თავის მხრივ, ძლიერი, პატივისცემით გამსჭვალული ურთიერთობები კორელაციაშია მოსწავლეების წარმატებასთან.

მასწავლებლების საუბარი და საკლასო ოთახის მენეჯმენტი

საკლასო ოთახში დროის გამოყენება		
საკლასო ოთახში დროის გამოყენება	***საკლასო ოთახში დროის გამოყენება***	***საკლასო ოთახში დროის გამოყენება***
სვამენ შეკითხვებს	21%	5%
იძლევიან ინსტრუქციებს	18%	7%
მართავენ დისციპლინას	19%	10%
ატარებენ ლექციას	10%	3%
სულ დრო	**68%**	**25%**

ჩრდილოეთ ამერიკაში ჩატარებულ კვლევაზე დაფუძნებული ზემოთ მოცემული შედეგები გვთავაზობს მოხერხებულ ჩარჩოს იმის ასახვისათვის, გაკვეთილის დროის რა ნაწილს იყენებს მასწავლებელი სალაპარაკოდ.

ყველაზე გამოცდილი მასწავლებლებსაც კი ხანდახან ეხმარება, თუკი დამოუკიდებელი დამკვირვებელი ან რამდენიმე მოსწავლე დაინიშნავს გაკვეთილზე მასწავლებლისა და მოსწავლეების ლაპარაკის დროებს.

დაწყებითი სკოლის CLIL პროგრამების დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებზე ბევრს ლაპარაკობს, რადგან საჭიროა ახალი ენის მოდელირება. თუმცა მოსწავლეები წამყვან როლს საკმაოდ სწრაფად ირგებენ. CLIL-ის დაწყებით, საშუალო და პროფესიულ დონეებზე საწყისი ეტაპის შემდეგ მოსწავლეები, ძირითადად, მასწავლებელზე გაცილებით მეტს ლაპარაკობენ. მოსწავლეების მონაწილეობის უზრუნველყოფის სტრატეგიებია: წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობა, როლური თამაში, გამოძიებითი მოხსენებები და სხვა ქვეყნების CLIL მოსწავლეებთან კონტაქტი და კომუნიკაცია.

მოსწავლეებისათვის უფლებების მიცემა, რომ მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღებაში

მოსწავლეთა ინტერესების გათვალიწინება და მათთვის საუბრის წარმართვის საშუალების მიცემა მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯია სწავლისა და შემსწავლელის ცხოვრების დასაკავშირებლად. მოსწავლეთათვის უფლების მიცემა, რომ შეუერთდნენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესს - ეს შემდეგი ნაბიჯია. ის ამყარებს კავშირებს მოსწავლესა და მასწავლებელს და მოსწავლეებს შორის, ზრდის რელევანტურობას და უფრო მეტად აღებინებს მოსწავლეს პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლის პროცესზე. ნებისმიერი დონის მოსწავლეთათვის სწავლის შედეგების დასახვაში ჩართულობა და, განსაკუთრებით, ამ შედეგების მიღწევის პროცესის განხილვა სწავლის კონსტრუქციას უწყობს ხელს.

თვითაღქმისა და თვითმართვის ზრდა, ასევე, ეხმარება რელევანტურობის შენებას. შეგიძლიათ სთხოვოთ მოსწავლეებს, წერილობითი ფორმით აღწერონ, რომელი საკლასო აქტივობები ეხმარება მათ ყველაზე მეტად სწავლაში და რომელი ართულებს. ამის წყალობით სწავლის პროცესი და სტილი მუდმივად იქნება მოსწავლეთა და მასწავლებელთა რადარზე და შესაძლო იქნება სასწავლო აქტივობების საჭიროებისამებრ შეცვლა.

CLIL-ის ექსპერტის, დუ კოილის, ხელმძღვანელობით გამოიყენებოდა ერთი ძალიან ძლიერი მეთოდი, რომელიც ეხმარება მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ერთმანეთთან დაკავშირებაში, ერთმანეთის შთაგონებასა და მუშაობის გაუმჯობესებაში. ამისთვის საჭიროა გაკვეთილის ვიდეოგადაღება. ამას, როგოც წესი, მოსწავლე აკეთებს. შემდეგ დღეს მოსწავლეები მუშაობენ

ჯგუფებში და განიხილავენ გაკვეთილის ჩანაწერს, ირჩევენ ერთ მოკლე სეგმენტს (ერთიდან სამ წუთამდე) იმის საჩვენებლად, როდის ისწავლეს ბევრი და მეორე სეგმენტს იმის საჩვენებლად, რომ სწავლების პროცესის გაუმჯობესებაა საჭირო. ისინი წარმოადგენენ ამ არჩეულ სეგმენტებს და ხსნიან თავიანთ არჩევანს, აკეთებენ შეთავაზებებს როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებისათვის. ტარდება დისკუსია და მიიღება გადაწყვეტილებები სწავლის გაუმჯობესების გზების შესახებ.

ემოციების ფლობა: სწავლის აფექტური მხარის მართვა

სწავლა ემოციების გარეშე არ არსებობს, ეს ემოციები კი აუცილებლად ახდენს გავლენას სწავლის პროცესზე. ემოციები სწვდებიან ჩვენს არსებას. ისინი ეხმარებიან ან აფერხებენ სწავლის პროცესს. ის, თუ რას ვგრძნობთ რაიმეს ან ვინმეს მიმართ, განსაზღვრავს რეალობის ჩვენეულ აღქმას. ასევე, ნათქვამია, რომ როდესაც ემოციები ებრძვის ახლის სწავლას, ემოციები მუდამ იმარჯვებს, სწავლა კი მუდამ მარცხდება. შემსწავლელთა ცხოვრებასთან დაკავშირება მოიცავს ემოციური განზომილების გაღვივებასა და მართვას - დადებითი ემოციების დამორჩილებას/გამოყენებას და დამანგრევლების მართვას.

ენა ემოციური ტრანსპორტია. ეს ტრანსპორტი უფრო იოლი სამართავია, როდესაც საუბარი მიმდინარეობს პირველ ენაზე. ჩვენს პირველ ენაზე საუბრისას ხშირად მივყვებით ნაცნობ, კომფორტულ და ხშირად მონახულებულ გზებს. ყოველდღიურ დისკურსში ეს გზები, თუმცა არაა ემოციისაგან გამიჯნული, მაინც გვეხმარება მათ კონტროლში, როდესაც რაიმეს გადმოცემას ვცდილობთ.

მეორე ენაზე სწავლისა და კომუნიკაციისას ჩვენი თვითგამოხატვა (ვერბალური და ემოციური), როგორც წესი, ნაკლებად დახვეწილია. ჩვენ ჩვენს გონებაში ახალი გზები გაგვყავს, ახალ ტერიტორიაზე გადავდივართ, სადაც ემოციებს უფრო მარტივად და მოულოდნელი სახით შეუძლიათ ამოტივტივება. ფიქრის მეორე ენაზე გადმოცემის, თავის გამოხატვის ახალი გზების ძებნისა და უფრო მარტივი ლექსიკის გამოყენებით გამოწვეული ასოციაციების თანმდევი დამატებითი სტრესი ამაღლებს იმის ალბათობას, რომ ემოციები ზედაპირზე ამოვა და კლასის ატმოსფეროზე აისახება.

დაწყებითი სკოლის მერე მრავალ მასწავლებელს ერიდება საკლასო ოთახში ემოციებზე ყურადღების გამახვილება, პირველი ენის სწავლებისასაც კი. არსებობს აზრი, რომ მეორე ენის სწავლა უფრო ინტენსიურ ემოციებს იწვევს. ამ ემოციების სპექტრი ხალისისა და სიხარულიდან შიშსა და სიბრაზემდეა - ხალისი იდეის წარმატების გადაცემისას, სიხარული - აღმოჩენის შეგრძნებისაგან, სირცხვილის შიში და სიბრაზე კი მაშინ, როდესაც აზრის სათანადოდ გადმოცემა ჭირს. ჩვენი თავი რომ უკეთ ვმართოთ და სხვებთან ერთად უკეთ ვიმუშაოთ, სასურველია, ჩამოვიყალიბოთ ის, რასაც დანიელ გოლემანი ემოციურ და სოციალურ ინტელექტს ეძახის.

ამის გასაკეთებლად საჭიროა მოსწავლეების ინფორმირებულობის გაზრდა იმის შესახებ, თუ რა როლს თამაშობს ემოციები მათ ცხოვრებაში. როდესაც CLIL მასწავლებლები ეხმარებიან მოსწავლეებს თავდაჯერებულობისა და ემოციების მართვისათვის საჭირო უნარების ჩამოყალიბებაში, ენისა და საგნობრივი შინაარსის სწავლის პროცესი უმჯობესდება. პირველი ნაბიჯი განათლების სამივე დონეზე არის მოსწავლეთა გრძნობების ამოცნობა/აღიარება. იმის მიუხედავად, თუ როგორია მოსწავლის ან ჯგუფის ემოცია, იგი იმსახურებს ამოცნობას/აღიარებას. ამისათვის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა უნდა გამოიკვლიონ, აითვისონ და გამოიყენონ ემოციის გამომხატველი ლექსიკა. მაგალითად: ვხედავ, რომ ძალიან ბედნიერი (კმაყოფილი, გახარებული) ხარ ამ შედეგით. შენ კარგ შედეგს მიაღწიე.

ყველაზე მეტად რით ხარ ნასიამოვნები?

გააკეთე ამ დავალების მომზადებისას რაიმე, რითაც განსაკუთრებით ამაყობ?

მოსწავლეებისთვის, ასევე, სასარგებლო იქნება ენის დამხმარე ფურცელი, რომელზეც ემოციები იქნება ჩამოწერილი. შესაძლოა ამ სიტყვების სათაურების ქვეშ ორგანიზება, მაგალითად, „დადებითი ემოციები“ და „პოტენციურად დამანგრეველი ემოციები“, ან როგორებიცაა „ზედსართავები“, „ზმნიზედები“, „ზმნები“ და ა.შ.

ამის საშუალებით მოსწავლეები შეძლებენ მისწვდნენ დადებით ემოციებს და დააკავშირონ ისინი CLIL-ის გამოყენებით სწავლასთან. ის, ასევე, დაეხმარება მოსწავლეებს დავალების შესრულებისას საკუთარი ჩართულობის უკეთ გააზრებაში. ამას გარდა, ეს მოსწავლის ძალისხმევის აღიარებაცაა.

ემოციის გამომხატველი ლექსიკა ღირებული ინსტრუმენტია ინდივიდების დასახმარებლად ჯგუფის შიგნით როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ემოციების სამართავად. მაგალითად, უარყოფითი ან დამანგრეველი ემოციების დახარისხების მცდელობის მენტალური პროცესი დაეხმარება მოსწავლეებს დამშვიდებაში. ემოციის წყაროს გასაგებად დისკუსიის ჩატარება და, შესაძლოა, გადაწყვეტილების მოფიქრება ხშირად განტვირთავს ემოციურად დამუხტულ სიტუაციას. ის ეხმარება ისეთი პრობლემების გადაწყვეტას, რომლებიც სხვა შემთხვევაში გამყარდებოდა და უარყოფითად იმოქმედებდა სწავლის პროცესზე. მოცემულია საჭირო ენობრივი ცოდნისა და პროცესის უნარების მაგალითი:

ვხედავ, რომ იმედგაცრუებული ხარ.

რას გრძნობ ახლა?

გაბრაზებული ხარ, იმედგაცრუებული, გულგატეხილი თუ...?

რაზე ხარ გაბრაზებული?

რა იწვევს ამ გრძნობას?

რის გამო შეიძლება, რომ ეგ ადამიანი ასე მოქცეულიყო?

შეგიძლია, რომ პრობლემის გადაჭრის რამდენიმე შესაძლო გზა დაასახელო?

რაზე შეგიძლიათ თქვენ ორს შეთახმება?

როგორ შეგვიძლია ამის უკან დატოვება?

როგორც ემოციების გამოხატვის ენის, ისე მათი მართვის ცოდნა ღირებული ცხოვრებისეული უნარებია, რომელთა გამოყენება შესაძლოა როგორც პირად, ისე საქმიან ცხოვრებაში. ჩვენ გვჭირდება ეს ცხოვრებისეული უნარები პირადი ან ჯგუფური იმედგაცრუების სამართავად, კონსტრუქციული ენერგიის გასატარებლად და სტრესული სიტუაციების გადასალახად, ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტში. მოსწავლის არსებული ცოდნის ბაზა, ინტერესები და დამოკიდებულებები არის დიდი კარიბჭე სწავლისაკენ. CLIL-ში ჩვენ, მასწავლებლები, ვაძლევთ მოსწავლეებს შესაძლებლობებს, ასახონ და ჩამოაყალიბონ თავიანთი არსებული ცოდნის ბაზა, რის პარალელურადაც ვაფუძნებთ სწავლას მათ ინტერესებზე. დამოკიდებულებები, რომლებიც გვაქვს და რომელთაც გამოვხატავთ სხვების მიმართ, გასაღებია ურთიერთობების კულტივაციისა და მნიშვნელობების კონსტრუქციისათვის. პირადი მახასიათებლები, ემოციები და დამოკიდებულებები აფერხებს ან აუმჯობესებს სწავლის პროცესს. ეს ასეა ნებისმიერი სწავლის პროცესში, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია CLIL-ში, სწავლის მედიუმად დამატებითი ენის გამოყენების გამო. თავდაჯერებული, ინფორმირებული და დაკავშირებული ინდივიდუალური ენის შემსწავლელი არის კლასში ენისა და საგნობრივი შინაარსების შემსწავლელების თავდაჯერებული, ინფორმირებული და დაკავშირებული ჯგუფის საწინდარი.

პეტერ მეჰისტო, დევიდ მარში, მარია ხესუს ფრიგოლსი,

რა არის CLIL? – თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2015; გვ. 191-238.